საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/87

ქ. ბათუმი 01 ---- მარტი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ზოგიერთი მსმენელისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2022 წლის 22 თებერვლის N175373 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის იმ მსმენელთა სია, რომელთაც ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების საკვალიფიკაციო კომისიის 2022 წლის 17 თებერვლის სხდომის N20-14/01 ოქმისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2022 წლის 22 თებერვლის N175373 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" იმ მსმენელთა ***(დანართი №1)*** მიმართ, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)*** ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს

საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 15 მარტის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელებს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელთა პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ზოგიერთი მსმენელისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 მარტის № 01-08/87 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა სია, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

№	სახელი და გვარი	პირადი N	ჩარიცხვის ბრძანების № და ხელშეკრულების N და თარიღი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1	გენად ბოლქვაძე		01-02/222; 14.12.2021 წ. *ხელშეკრულება:* 20-17/04; 12.12.2021	,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“
2	ტარიელ ზოიძე		01-02/222; 14.12.2021 წ. *ხელშეკრულება:* 20-17/09; 12.12.2021	,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“
3	ციცინო თავართქილაძე		01-02/222; 14.12.2021 წ. *ხელშეკრულება:* 20-17/10; 12.12.2021	,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“